

ელექტროენერგიის განაწილების მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

ელექტროენერგიის განაწილების მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტული პირობები (შემდგომში - „სტანდარტული პირობები“) შემუშავებულია „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 ივნისის #19 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესების“ (შემდგომში - გამანაწილებელი ქსელის წესები) მოთხოვნების შესაბამისად.

I. ზოგადი პირობები

1. წინამდებარე სტანდარტული პირობები წარმოადგენს წინასწარ ჩამოყალიბებულ, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნულ სახელშეკრულებო პირობებს, რომელსაც ერთი მხარე: ელექტროენერგიის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი¹ (შემდგომში - „სისტემის ოპერატორი“) უდგენს ყველა იმ შესაბამის ელექტროენერგეტიკულ საწარმოს (შემდგომში - „მიმწოდებელი“), რომელიც ახორციელებს ელექტროენერგიის მიწოდებას საბოლოო მომხმარებლისთვის.

2. საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე სტანდარტული პირობებით, რეგულირდება გამანაწილებელი ქსელის წესებითა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

II. ხელშეკრულების საგანი

3. სისტემის ოპერატორი ვალდებულია, ელექტროენერგიის განაწილების მომსახურება გაუწიოს მიმწოდებელს, გამანაწილებელი ქსელის წესებით და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურებისა და პირობების შესაბამისად, ამ მიმწოდებლის მიერ ამ მომსახურების საფასურის დროულად ანაზღაურების პირობით.

III. ელექტროენერგიის განაწილების მომსახურების ანგარიშსწორების წესი

4. მიმწოდებელი პასუხისმგებელია სისტემის ოპერატორისა და გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის დროულად და სრულად ანაზღაურებაზე, გამანაწილებელი ქსელის წესებით დადგენილი პირობებისა და პროცედურების შესაბამისად².

5. წესების შესაბამისად, განაწილების ლიცენზიატის მომსახურების ანაზღაურების უზრუნველყოფა ხდება, მიმწოდებლის არჩევანის შესაბამისად, დეპოზიტის მეშვეობით³ ან მომხმარებლის მიერ გადახდილი მომსახურების საფასურის გამიჯვნის და მიმწოდებლის, სისტემის ოპერატორის და გადამცემი სისტემის ოპერატორის საბანკო ანგარიშზე ასახვით. დეპოზიტი შესაძლოა მიმწოდებლის მიერ ნებისმიერ დროს ჩანაცვლდეს საბანკო გარანტიით.

IV. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტის წესი

6. წინამდებარე სტანდარტული პირობები რეგულირდება და განიმარტება წესებისა და ზოგადად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სტანდარტული პირობების რომელიმე დებულებასა და კანონმდებლობის ნორმას შორის რაიმე წინააღმდეგობის, შეუსაბამობის, ან ბუნდოვანების შემთხვევაში, პირველ რიგში მოქმედებს წესებით და შემდეგ ზოგადად საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ნორმა (ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის პრინციპების გათვალისწინებით).

7. წინამდებარე სტანდარტული პირობებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

V. დამატებითი პირობები

8. გამანაწილებელი ქსელის წესებით დადგენილი პირობები წარმოადგენს, ელექტროენერგიის განაწილების მომსახურების შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9. მხარეები ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ასრულებენ კეთილსინდისიერების, მხარეთა ურთიერთანამშრომლობისა და გულისხმიერების პრინციპებზე დაყრდნობით. მხარეები ვალდებულნი არიან მჭიდროდ ითანამშრომლონ ერთმანეთთან (კონსულტაციის გაწევით, ურთიერთდახმარებით და სხვ.) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სათანადოდ შესრულების მიზნით.

10. თითოეული მხარე ვალდებულია, მეორე მხარეს დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია იურიდიული მისამართ(ებ)ის შეცვლის ან მისამართის (მათ შორის ელექტრონული ფოსტის მისამართის) დამატების შესახებ, რაც სავალდებულოა მეორე მხარისათვის მიწოდების მომენტიდან.

11. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მიმოწერა (კორესპონდენცია) შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12. მხარეები თანხმდებიან, იმოქმედონ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებითა და პროცედურებით, იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც პირდაპირ არ არის მოწესრიგებული წესებით ან კომისიის მიერ დადგენილი სხვა აქტებით.

¹ სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 205169066) ან სს „თელასი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 202052580) მათი სალიცენზიო არეალის მიხედვით.

² სისტემის ოპერატორი და მიმწოდებელი უფლებამოსილნი არიან დამატებით შეთანხმდნენ ანგარიშსწორების სხვა პირობებზე.

³ სისტემის ოპერატორი და მიმწოდებელი უფლებამოსილნი არიან დამატებით შეთანხმდნენ განაწილების მომსახურების საფასურის გადახდის უზრუნველყოფის სხვა პირობებზე.

□რეგ. № _____ თარიღი: _____
(ივსება გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ)

დამტკიცებულია
სემეკის 2021 წლის 2 სექტემბრის N38/1 გადაწყვეტილებით

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

განაწილების მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებზე მიერთების მოთხოვნის შესახებ

განმცხადებლის საყურადღებოდ!

ელექტროენერგიის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი ვალდებულია, დაუყოვნებლივ დაარეგისტრიროს განმცხადებლის მიერ წარდგენილი ნებისმიერი სახის წერილობითი განცხადება (განაცხადი) და დაუყოვნებლივ გასცეს განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, რეგისტრაციის თარიღის მითითებით.

სისტემის ოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს მის მფლობელობაში არსებული ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელთან მიმწოდებლების დაუბრკოლებლად დაშვება, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს მიწოდების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისათვის სათანადო პირობების შექმნა და მიმწოდებლის მითითების შესრულება ელექტროენერგიის მომარაგებასთან დაკავშირებით წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის პირობების შესაბამისად. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ ერთი და იმავე მომსახურების შეთავაზება სისტემით მოსარგებლე სხვადასხვა პირისთვის უნდა განხორციელდეს თანაბარი სახელშეკრულებო პირობებით, გამანაწილებელი ქსელის წესების შესაბამისად.

სისტემის ოპერატორი ვალდებულია, მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, გააფორმოს მიმწოდებელთან განაწილების მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომელიც მოქმედებს, სანამ მხარეების მიერ არ იქნება მიღებული სხვა გადაწყვეტილება. გარდა იმ შემთხვევისა, თუ მიმწოდებლის განაცხადი არასრულყოფილია. სისტემის ოპერატორი ვალდებულია სამი სამუშაო დღის ვადაში აცნობოს განაცხადის ხარვეზის შესახებ. ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია ახალი განაცხადით მიმართოს სისტემის ოპერატორს.

გამანაწილებელ ქსელში მიწოდების საქმიანობის შეტყობინების, მიღებიდან 5 სამუშაო დღის შემდეგ, ამ შეტყობინების გამგზავნი მიმწოდებელი ითვლება, განაწილების მომსახურების ხელშეკრულებაზე სტანდარტულ პირობებზე მიერთებულად და უფლებამოსილია სისტემის ოპერატორისგან მოითხოვოს ამ სამართალურთიერთობის წერილობით (მატერიალური ან ელექტრონული ფორმით) დადასტურება.

თუ განაცხადის ჩაბარებიდან ერთი საათის განმავლობაში, განმცხადებელი არ მიიღებს SMS-ით განაცხადის რეგისტრაციის თარიღსა და ნომერს, პირველ რიგში, უნდა მიმართოს მომსახურე საწარმოს ცხელი ხაზს. განმცხადებელი უფლებამოსილია, მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მიმართოს მომსახურე საწარმოს საჩივრებზე რეაგირების სამსახურს, ასევე მარეგულირებელ კომისიას მისამართზე: ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. #19; ვებ გვერდი: www.gnerc.org; ელ. ფოსტა: mail@gnerc.org; ტელ: 2420180; ქოლცენტრის ნომერი: 16216.

განაცხადის შევსების თარიღი „_____“ _____, 20____წ.

I. ძირითადი ინფორმაცია

1. განცხადების ადრესატი: _____;

იმ სისტემის ოპერატორის დასახელება, რომლის ქსელზეც მოთხოვნილია დაშვება და განაწილების მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებზე მიერთება)

2. განმცხადებელი (შემდგომში როგორც - მიმწოდებელი): _____;

(სახელწოდება)

3. საიდენტიფიკაციო კოდი: _____;

4. მიწოდების საქმიანობის სახე: _____;

(თავისუფალი მიმწოდებელი ან უნივერსალური, საჯარო ან/და ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი)

5. მიმწოდებლის საკონტაქტო ინფორმაცია:

5.1. მისამართი: _____;

5.2. მიმწოდებელს შეტყობინება შეიძლება გაეგზავნოს ქვემოთ მოცემულ ერთ ძირითად და ერთ

ალტერნატიულ ნომერზე, ასევე ელექტრონული ფოსტის მისამართზე¹:

(მობ. ოპერატორი კოდი)

(მობ. ნომერი)

- ძირითადი;

(მობ. ოპერატორი კოდი)

(მობ. ნომერი)

- ალტერნატიული;

5.3. ელექტრონული ფოსტის მისამართი

_____ @ _____

(ელექტრონული ფოსტის მისამართი)

- ძირითადი;

5.4. მიმწოდებლის ვებგვერდი (არსებობის შემთხვევაში):

_____;

6. მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტები: 1. _____ ;
2. _____ ;
7. გამანაწილებელ ქსელში მიწოდების საქმიანობის დაწყების სავარაუდო თარიღი: _____ ;
8. ინფორმაცია ქსელში მისაწოდებელი ელექტროენერგიის საპროგნოზო მოცულობების შესახებ²:

_____ ;

9. მიმწოდებლის მიერ შერჩეული სისტემის ოპერატორის მომსახურების საფასურის გადახდის უზრუნველყოფის მექანიზმი³:

9.1. დეპოზიტის⁴ წარდგენა ☐;

9.2. მიმწოდებელი უარს აცხადებს წესების 41-ე მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებული დეპოზიტის წარდგენაზე და კომერციულ ბანკსა და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ოპერირებას უწევს გადახდის საშუალებას, დადებულია ისეთი შეთანხმება, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლის მიერ გადახდილი მომსახურების საფასურიდან მიმწოდებლისათვის გადასახდელი ელექტროენერგიის ფასის ან კომისიის მიერ დადგენილი ტარიფის, სისტემის ოპერატორისა და გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ გაწეული მომსახურებების საფასურების გამიჯვნას და მიმწოდებლისა და სისტემის ოპერატორის საბანკო ანგარიშებზე ასახვას ☐;

II. ძირითადი მოთხოვნა:

10. გთხოვთ, წინამდებარე განცხადებაში მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით, კომისიის 2021 წლის 28 ივნისის N19 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესებით“ და კომისიის 2020 წლის 13 აგვისტოს N47 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის საცალო ბაზრის წესებით“ დადგენილი პირობების და პროცედურების დაცვით, განახორციელოთ ელექტროენერგიის განაწილების მომსახურება, განაწილების მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებზე მიერთების გზით.

¹ მითითებული ელ. ფოსტა გამოყენებული იქნება, როგორც სისტემის ოპერატორის მიერ მიმწოდებელთან საკონტაქტო საშუალება

² აღნიშნული მონაცემების ცვლილება არ საჭიროებს გამანაწილებელი ქსელში მიწოდების საქმიანობის შეტყობინების ან განაწილების მომსახურების ხელშეკრულებაში ასახული მონაცემების ცვლილებას.

³ აუცილებელია ქვემოთ მოცემული პუნქტებიდან მონიშნოთ ერთ-ერთი.

⁴ დეპოზიტი არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ სისტემის ოპერატორისთვის ბოლო 12 თვის განმავლობაში გადახდილი მომსახურების საფასურის საშუალო თვიურ ოდენობას, ხოლო 12 თვეზე ნაკლები პერიოდის შემთხვევაში, იგი უნდა გაანგარიშდეს მისაწოდებელი ელექტროენერგიის საპროგნოზო მოცულობების შესაბამისად. მიმწოდებელი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს შეცვალოს სისტემის ოპერატორისათვის დეპოზიტის სახით წარდგენილი თანხა საბანკო გარანტიით.

11. ამ განაცხადის ხელმოწერით ვადასტურებ განაცხადში მოცემული ინფორმაციის სისწორეს და შევასრულებ ზემოხსენებული წესებით და განაცხადით განსაზღვრულ ვალდებულებებს, მათ შორის დროულად გადავიხდი განაწილების მომსახურების ღირებულებას და ზემოაღნიშნული წესებით გათვალისწინებულ სხვა სახის საფასურს.

III. დამატებითი ინფორმაცია:

12. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, ყოველთვიურად გადაუხადოს სისტემის ოპერატორს მომსახურების საფასური, გასული ერთი თვის პერიოდში მომხმარებლისთვის მიწოდებული ელექტროენერგიის მოცულობის შესაბამისად.

IV. თანდართული დოკუმენტაცია:

13. კომისიის 2021 წლის 2 სექტემბრის #38/1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ელექტროენერგიის განაწილების მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ☐;
14. ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან ☐;
15. მომსახურების საფასურის გადახდის უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი ☐;
16. სხვა თანდართული დოკუმენტაცია (სურვილის შემთხვევაში): _____ .

მიმწოდებლის ან მისი წარმომადგენლის სახელი გვარი: _____ .

ხელმოწერა _____

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

არასტანდარტული პირობებით
განაწილების მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების მოთხოვნის შესახებ

(განაწილების მომსახურების საფასურის გადახდის უზრუნველყოფის განსხვავებულ
პირობაზე შეთანხმების მოთხოვნა)

განმცხადებლის საყურადღებოდ!

ელექტროენერგიის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი ვალდებულია, დაუყოვნებლივ დაარეგისტროს განმცხადებლის მიერ წარდგენილი ნებისმიერი სახის წერილობითი განცხადება (განაცხადი) და დაუყოვნებლივ გასცეს განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, რეგისტრაციის თარიღის მითითებით.

სისტემის ოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს მის მფლობელობაში არსებული ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელთან მიმწოდებლების დაუბრკოლებლად დაშვება, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს მიწოდების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისათვის სათანადო პირობების შექმნა და მიმწოდებლის მითითების შესრულება ელექტროენერგიის მომარაგებასთან დაკავშირებით წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის პირობების შესაბამისად. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ ერთი და იმავე მომსახურების შეთავაზება სისტემით მოსარგებლე სხვადასხვა პირისთვის უნდა განხორციელდეს თანაბარი სახელშეკრულებო პირობებით, გამანაწილებელი ქსელის წესების შესაბამისად.

სისტემის ოპერატორი ვალდებულია, მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, გააფორმოს მიმწოდებელთან განაწილების მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომელიც მოქმედებს, სანამ მხარეების მიერ არ იქნება მიღებული სხვა გადაწყვეტილება. გარდა იმ შემთხვევისა, თუ მიმწოდებლის განაცხადი არასრულყოფილია. სისტემის ოპერატორი ვალდებულია სამი სამუშაო დღის ვადაში აცნობოს განაცხადის ხარვეზის შესახებ. ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია ახალი განაცხადით მიმართოს სისტემის ოპერატორს.

სისტემის ოპერატორი და მიმწოდებელი უფლებამოსილი არიან შეთანხმდნენ განაწილების მომსახურების საფასურის გადახდის უზრუნველყოფის კომისიის 2021 წლის 28 ივნისის N19 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესების“ (შემდგომში - წესები) 41-ე მუხლის 1¹ და მე-2 პუნქტისგან განსხვავებულ პირობაზე, აგრეთვე ამავე მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებულ ანგარიშსწორებისგან განსხვავებულ პირობებზე.

თუ განაცხადის ჩაბარებიდან ერთი საათის განმავლობაში, განმცხადებელი არ მიიღებს SMS-ით განაცხადის რეგისტრაციის თარიღსა და ნომერს, პირველ რიგში, უნდა მიმართოს მომსახურე საწარმოს ცხელი ხაზს. განმცხადებელი უფლებამოსილია, მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მიმართოს მომსახურე საწარმოს საჩივრებზე რეაგირების სამსახურს, ასევე მარეგულირებელ კომისიას მისამართზე: ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. #19; ვებ გვერდი: www.gnerc.org; ელ. ფოსტა: mail@gnerc.org; ტელ: 2420180; ქოლცენტრის ნომერი: 16216.

განაცხადის შევსების თარიღი „____“ _____, 20____წ.

I. ძირითადი ინფორმაცია

1. განცხადების ადრესატი: _____ ;

იმ სისტემის ოპერატორის დასახელება, რომლის ქსელზეც მოთხოვნილია დაშვება და განაწილების მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება)

2. განმცხადებელი (შემდგომში როგორც - მიმწოდებელი): _____ ;

(სახელწოდება)

3. საიდენტიფიკაციო კოდი: _____ ;

4. მიწოდების საქმიანობის სახე: _____ ;

5. მიმწოდებლის საკონტაქტო ინფორმაცია:

5.1. მისამართი: _____;

5.2. მიმწოდებელს შეტყობინება შეიძლება გაეგზავნოს ქვემოთ მოცემულ ერთ ძირითად და ერთ ალტერნატიულ ნომერზე, ასევე ელექტრონული ფოსტის მისამართზე¹:

_____ - ძირითადი;
(მობ. ოპერატორი კოდი) (მობ. ნომერი)

_____ - ალტერნატიული;
(მობ. ოპერატორი კოდი) (მობ. ნომერი)

5.3. ელექტრონული ფოსტის მისამართი

_____ @ _____ - ძირითადი;
(ელექტრონული ფოსტის მისამართი)

5.4. მიმწოდებლის ვებგვერდი (არსებობის შემთხვევაში):

_____;

6. მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტები: 1. _____;
2. _____;

7. მიწოდების საქმიანობის დაწყების სავარაუდო თარიღი²: _____;

8. ინფორმაცია ქსელში მისაწოდებელი ელექტროენერგიის საპროგნოზო მოცულობების შესახებ³:

_____;

8.1. მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული, წესების 41-ე მუხლის 1¹ და მე-2 პუნქტისგან განსხვავებული, სისტემის ოპერატორის მომსახურების საფასურის გადახდის უზრუნველყოფის მექანიზმის მოკლე აღწერა:

_____.

II. ძირითადი მოთხოვნა:

9. გთხოვთ, გამიფორმოთ განაწილების მომსახურების ხელშეკრულება, წინამდებარე განცხადებაში მოცემული ინფორმაციის, მომსახურების საფასურის გადახდის უზრუნველყოფის შემოთავაზებული მექანიზმის, წესებით და „ელექტროენერგიის საცალო ბაზრის წესებით“ დადგენილი პირობების და პროცედურების გათვალისწინებით;
10. ამ განაცხადის ხელმოწერით ვადასტურებ განაცხადში მოცემული ინფორმაციის სისწორეს და შევასრულებ ზემოხსენებული წესებით განსაზღვრულ ვალდებულებებს.

¹ მითითებული ელ. ფოსტა გამოყენებული იქნება, როგორც სისტემის ოპერატორის მიერ მიმწოდებელთან საკონტაქტო საშუალება

² ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი, განაცხადის შევსების მომენტში უკვე არ ახორციელებს მიწოდების საქმიანობას

³ მონაცემები დამოკიდებულია მიმწოდებელსა და მომხმარებლებს შორის გაფორმებული ელექტროენერგიის მიწოდების ხელშეკრულებასა და მომხმარებლის ელექტროენერგიის მოხმარების სიმძლავრესა და მოცულობებზე. აღნიშნული მონაცემების ცვლილება არ საჭიროებს გამანაწილებელი ქსელში მიწოდების საქმიანობის შეტყობინების ან განაწილების მომსახურების ხელშეკრულებაში ასახული მონაცემების ცვლილებას.

III. დამატებითი ინფორმაცია:

11. სურვილი გვაქვს დამატებით შევთანხმდეთ ანგარიშსწორების სხვა პირობაზე (დამატებითი ინფორმაცია ივსება სურვილის შემთხვევაში): ☐, _____

(შეთავაზების მოკლე აღწერა, სურვილის შემთხვევაში)

IV. თანდართული დოკუმენტაცია:

12. ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან ☐;

13. სხვა თანდართული დოკუმენტაცია (სურვილის შემთხვევაში): _____ .

მიმწოდებლის ან მისი წარმომადგენლის სახელი გვარი: _____ .

ხელმოწერა _____

განაწილების მომსახურების ხელშეკრულება
(სტანდარტული ფორმა)

ქ. თბილისი

_____წელი

I. მხარეთა რეკვიზიტები:

1. ერთის მხრივ:

- 1.1. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი: _____ ;
1.2. საიდენტიფიკაციო კოდი: _____ ;
1.3. საბანკო რეკვიზიტები: _____ ;
1.4 საკონტაქტო მონაცემები:
ა) მისამართი: _____ ;
ბ) ტელეფონის ნომერი: _____ ;
გ) ელ. ფოსტა: _____ ;
დ) ვებგვერდი: _____ ;

2. მეორე მხრივ:

- 2.1. მიმწოდებელი: _____ ;
2.2. საიდენტიფიკაციო კოდი: _____ ;
2.3. საბანკო რეკვიზიტები: _____ ;
2.4. მიწოდების საქმიანობის სახე: _____ ;

(თავისუფალი მიმწოდებელი ან უნივერსალური, საჯარო ან/და ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი)

2.5. საკონტაქტო მონაცემები:

- ა) მისამართი: _____ ;
ბ) ტელეფონის ნომერი: _____ ;
გ) ელ. ფოსტა: _____ ;
დ) ვებგვერდი (არსებობის შემთხვევაში): _____ ;

II. ხელშეკრულების საგანი:

3. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი და მიმწოდებელი, შემდგომში ორივე ერთად როგორც მხარეები ვდებთ განაწილების საქმიანობაზე მომსახურების ხელშეკრულებას საქართველოდ ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 ივნისის N19 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესებით“ (შემდგომში - „წესები“) დადგენილი პირობების შესაბამისად და წინამდებარე პირობების გათვალისწინებით.

III. სპეციალური მოთხოვნები:

- 4.** მიწოდების საქმიანობის დაწყების თარიღი: _____ ;
5. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს მომსახურების საფასური (ინიშნება მხოლოდ ერთი ქვეპუნქტი):

5.1 ყოველთვიურად, გასული ერთი თვის პერიოდში მომხმარებლისთვის მიწოდებული ელექტროენერგიის მოცულობის შესაბამისად: ☐; ან

5.2 სხვა მეთოდით ☐, ასევე გადახდის პირობის აღწერა: _____

6. მიმწოდებლის მიერ, სისტემის ოპერატორის მომსახურების საფასურის გადახდის უზრუნველყოფის მექანიზმი (ინიშნება მხოლოდ ერთი ქვეპუნქტი):

6.1. დეპოზიტის¹ წარდგენა ☐; ან

6.2. კომერციულ ბანკსა და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ოპერირებას უწევს გადახდის საშუალებას, ისეთი შეთანხმების დადება, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლის მიერ გადახდილი მომსახურების საფასურიდან მიმწოდებლისათვის გადასახდელი ელექტროენერგიის ფასის ან კომისიის მიერ დადგენილი ტარიფის, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორისა და გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ გაწეული მომსახურებების საფასურების გამოიჯენას და მიმწოდებლისა და სისტემის ოპერატორის საბანკო ანგარიშებზე ასახვას; ☐; ან

6.3. სხვა მეთოდით ☐, ასევე გადახდის უზრუნველყოფის მექანიზმის აღწერა: _____

IV. ძირითადი მოთხოვნა:

7. მხარეები ხელმოწერით გამოხატავენ თანხმობას წინამდებარე ხელშეკრულებაში მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით, წესებით და კომისიის 2020 წლის 13 აგვისტოს N47 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის საცალო ბაზრის წესებით“ დადგენილი პირობების და პროცედურების დაცვით, განხორციელდეს ელექტროენერგიის განაწილების მომსახურება, მათ შორის დროულად იქნეს გადახდილი განაწილების მომსახურების ღირებულება.

V. საგამონაკლისო/განსხვავებული პირობები:

8. წესებით დადგენილი პირობები წარმოადგენს ელექტროენერგიის განაწილების მომსახურების შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9. მხარეები ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ასრულებენ კეთილსინდისიერების, მხარეთა ურთიერთანამშრომლობისა და გულისხმიერების პრინციპებზე დაყრდნობით. მხარეები ვალდებული არიან მჭიდროდ ითანამშრომლონ ერთმანეთთან (კონსულტაციის გაწევით, ურთიერთდახმარებით და სხვ.) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სათანადოდ შესრულების მიზნით.

¹ დეპოზიტი არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ სისტემის ოპერატორისთვის ბოლო 12 თვის განმავლობაში გადახდილი მომსახურების საფასურის საშუალო თვიურ ოდენობას, ხოლო 12 თვეზე ნაკლები პერიოდის შემთხვევაში, იგი უნდა გაანგარიშდეს მისაწოდებელი ელექტროენერგიის საპროგნოზო მოცულობების შესაბამისად. მიმწოდებელი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს შეცვალოს სისტემის ოპერატორისათვის დეპოზიტის სახით წარდგენილი თანხა საბანკო გარანტიით

10. თითოეული მხარე ვალდებულია, მეორე მხარეს დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია იურიდიული მისამართ(ებ)ის შეცვლის ან მისამართის (მათ შორის ელექტრონული ფოსტის მისამართის) დამატების შესახებ, რაც სავალდებულოა მეორე მხარისათვის მიწოდების მომენტიდან, მიუხედავად იმისა, განხორციელდება თუ არა შესაბამისი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულების ტექსტში.
11. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების თითოეულ მხარესთან.
12. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა (კორესპონდენცია) შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
13. მხარეები თანხმდებიან, იმოქმედონ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებითა და პროცედურებით, იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც პირდაპირ არ არის მოწესრიგებული კომისიის მიერ დადგენილი წესებით ან/და სხვა აქტებით;
14. მხარეები თანხმდებიან, რომ დამატებითი პირობისა და კომისიის მიერ დადგენილ აქტ(ებ)ს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა უნდა მიენიჭოს კომისიის მიერ დადგენილ პირობას.

VI. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და გარდამავალი პირობები:

15. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს _____;
16. იმ შემთხვევაში, თუ მხარეებმა მე-15 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე 3 (სამი) თვით ადრე არ აცნობეს ერთმანეთს მომსახურების შეწყვეტის შესახებ, წინამდებარე ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება 1 (ერთი) წლის ვადითა და იმავე პირობებით. ხელშეკრულების აღნიშნული პირობა ვრცელდება ყოველ მომდევნო პერიოდზე.²

VII. თანდართული დოკუმენტაცია:

17. ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან ☐;
18. მომსახურების საფასურის გადახდის უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი (ხელშეკრულების 6.1.; 6.2.; პუნქტის მონიშვნის შემთხვევაში) ☐;
19. სხვა თანდართული დოკუმენტაცია (სურვილის შემთხვევაში): _____;

გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის ან მისი წარმომადგენლის სახელი გვარი: _____;

ხელმოწერა _____

მიმწოდებლის ან მისი წარმომადგენლის სახელი გვარი: _____;

ხელმოწერა _____

² თუ ხელშეკრულება დადებულია 3 თვეზე ნაკლები ვადით, მხარეები ვალდებული არიან ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ერთმანეთს აცნობონ გონივრული ვადით ადრე.